

ევროპის უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

2020-2021 სასწავლო წელი



1. საბაკალავრო პროგრამები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

<i>უმაღლესი განათლების საფეხური:</i>	ბაკალავრიატი
<i>სწავლების ენა:</i>	ქართული / სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე
<i>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</i>	აკადემიური / ძირითადი
<i>დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:</i>	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
<i>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</i>	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (Bachelor of Business Administration)
<i>სწავლის ხანგრძლივობა:</i>	8 სემესტრი
<i>საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:</i>	240 კრედიტი
<i>პროგრამის ხელმძღვანელი:</i>	დოქტ. ეკატერინე ნაცვლიშვილი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რაჩიურების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

ბ) პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: **ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა), მათემატიკა/ისტორია.**

გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

„ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პირები ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

სავალდებულო კომპონენტი	195 კრედიტი
თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე	24 კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები	162 კრედიტი

საბაკალავრო პროექტი	9 კრედიტი
არჩევითი კომპონენტი	45 კრედიტი
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	9 კრედიტი
არჩევითი სასწავლო კურსები / პროგრამის თავისუფალი კრედიტები	36 კრედიტი

შენიშვნა: სპეციალობის სასწავლო კურსების ფარგლებში რიგი სასწავლო კურსები ალტერნატიული სახით შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე სტუდენტის სურვილის შესაბამისად. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა (დაშვების სხვა წინაპირობებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის დასრულებისთვის სავალდებულოა პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის B2 დონის მიღწევა, ჩაბარება (პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონეზე სწავლებას) ან დოკუმენტურად დადასტურება. შესაძლებელია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა დადასტურდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდითაც. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის სწავლისგან თუ ის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან დოკუმენტურად დაადასტურებს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას. ამ შემთხვევაში პროგრამაში ინგლისური ენისთვის განკუთვნილი კრედიტები სტუდენტს შეუძლია აითვისოს თავისუფალი კრედიტების მსგავსად, უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების გავლით, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობის დაცვით. პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე და სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებს შესაბამისი დონიდან. სტუდენტი, რომელიც საჭიროებს ინგლისური ენის საწყისი დონიდან დაწყებას, აღნიშნულ დონეებს (A1, A2, B1.1 და B1.2 დონეს) სწავლობს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ათვისებით.

სტუდენტს საშუალება აქვს თავად შექმნას საკუთარი პროფილი სპეციალობის სავალდებულო, არჩევითი ან თავისუფალი¹ სასწავლო კურსების კომბინირებით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას. ერთი სემესტრი შედგება 20 კვირისგან, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, ხოლო 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-17 და მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-19 და მე-20 კვირა დამატებითი დასკვნითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე. მე-8 კვირას ტარდება შუალედური გამოცდები.

¹ სტუდენტს შეუძლია თავისუფალი სასწავლო კურსები აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი, შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებიდან დაშვების პირობების გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

პროგრამის შინაარსი, უმეტეს წილად, თანხვედრაშია საქართველოს თუ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი მიმართულების საბაკალავრო პროგრამებთან.

პროგრამის მოქნილი სტრუქტურა სტუდენტებს საქართველოსა თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მობილობის ან/და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას აძლევს.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლად დასახული შპს ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ძირითადი მიზნები და ამოცანები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დანიშნულებაა - უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელნიც შეძლებენ სამეწარმეო საქმიანობას, ბიზნეს-პროცესების წარმართვას ან/და მენეჯერული ფუნქციების განხორციელებას მენეჯმენტის სხვადასხვა რგოლში.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- (1) მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ბიზნესის ძირითად ფუნქციურ მიმართულებებში (ეკონომიკა, ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი), დააუფლოს ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკურ ინსტრუმენტებს; შესძინოს სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის გაძლოლის უნარ-ჩვევები.
- (2) გაუღრმავოს თეორიული ცოდნა და განუმტკიცოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები **ბიზნესის ადმინისტრირების რომელიმე კონკრეტულ ფუნქციურ მიმართულებაში** (ფინანსები/მარკეტინგი/მენეჯმენტი); განუვითაროს მენეჯერულ პოზიციაზე წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოამზადოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში მმართველობის სხვადასხვა რგოლში დასაქმებისა და შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის.
- (3) განუმტკიცოს **ზოგადი კომპეტენციები**: ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), პროექტის/მოხსენების მომზადება-წარდგენის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, მონაცემთა მოძიება-დამუშავების, ანალიზის, სინთეზის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაცნობიერების, პრობლემის იდენტიფიცირების, გადაწყვეტის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის,

შეფასების, დასაბუთების, მცირე მასშტაბიანი კვლევების ჩატარების, ჯგუფში მუშაობის, სამუშაოს დაგეგმვა-ორგანიზების და დროის მართვის, პასუხისმგებლობის და ორგანიზაციაში ქცევის უნარ-ჩვევები, მოქალაქეობრივი კომპეტენციები და ღირებულებები.

- (4) საგანმანათლებლო პროგრამის **პრაქტიკული კომპონენტით** (საქმიანი/როლური თამაშები, ბიზნეს-სიმულაციები, სასწავლო პროექტები; ბიზნესის პრაქტიკუმი; საბაკალავრო პროექტი; პროფესიული პრაქტიკა ორგანიზაციაში) შეუწყოს ხელი სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას და საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევათა განმტკიცებას.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ფართო და საფუძვლიანი **ცოდნა**, რომლის საფუძველზეც:

- (1) აღწერს ბიზნეს-ორგანიზაციების ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკურ გარემოს, ახსნის და აფასებს ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე პროცესებს ეკონომიკის ფუნქციონირების და ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე თეორიებისა და მოდელების კრიტიკული გააზრების შედეგად; აცნობიერებს ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსურ საკითხებს.
- (2) აანალიზებს და განიხილავს ბიზნესისა და მეწარმეობის განხორციელების თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს; განსაზღვრავს ბიზნეს-სექტორის ადგილს ეკონომიკურ სისტემაში, სამეწარმეო საქმიანობის როლს ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის.
- (3) განსაზღვრავს და აღწერს ბიზნესის ძირითადი ფუნქციონალური სფეროების (ორგანიზაციული და სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსები, საწარმოო ოპერაციები და პროექტები, მარკეტინგი და გაყიდვები, ლოგისტიკა, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, ბუღალტერია) თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; ორგანიზაციული ქცევის პრინციპებსა და დანერგვის მეთოდებს; ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს; მსჯელობს ბიზნესის მართვის ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე.

- (4) აღწერს კომპანიის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის სფეროს: ფინანსურ ინფრასტრუქტურას, ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებსა და მართვის მექანიზმებს; კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, პროცესების ეფექტიანობისა და ფინანსური გადაწყვეტილების შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს; სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრის ხერხებს; მსჯელობს კომპანიის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე.
- (5) აღწერს კომპანიის მარკეტინგული საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს: მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის პრინციპებს; ბაზრის მარკეტინგული კვლევის დაგეგმვა-ჩატარების მეთოდებს და პროცედურებს; მომხმარებელთა ქცევის შესწავლის და მართვის მეთოდებს; ეფექტური კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და გაყიდვების სტრატეგიებსა და შერჩევის ტექნიკას; გაიაზრებს მარკეტინგის, ბრენდინგისა და გაყიდვების ურთიერთკავშირს; მსჯელობს მარკეტინგის სფეროს კომპლექსურ საკითხებზე.
- (6) განიხილავს ბიზნესისა და მეწარმეობის სამართლებრივი რეგულირების სფეროს: ბიზნეს სამართლის აქტუალურ საკითხებს; საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელ ძირითად პრინციპებს; შრომით ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ბერკეტებს; კრიტიკულად გაიაზრებს სამართლის, როგორც ბიზნესის განვითარების ინსტრუმენტის მნიშვნელობას და მისი გამოყენების აუცილებლობას.

უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- (7) ბიზნესის სფეროში მიმდინარე ცვლილებათა იდენტიფიცირება, ეკონომიკური პროცესებისა და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შეფასება; ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური აგენტების ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი; ეკონომიკის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრა.
- (8) ბიზნეს-გარემოს მიზიდველობისა და მეწარმე სუბიექტის პოტენციური შესაძლებლობების შეფასება, ბიზნესის სახეობის შერჩევა; ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით; სამეწარმეო საქმიანობის/ბიზნესის ორგანიზებაში ეკონომიკური, საფინანსო, სადაზღვეო, მარკეტინგული, ინოვაციური, საწარმოო, საკადრო პროცესების ანალიზი; ბიზნესსაქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, რისკების შეფასება; ფუნქციონალური სტრატეგიების და ცვლილებათა პროექტების შეფასება; კომპანიის სტრატეგიული და ფინანსური პორტფელის ანალიზი; კომპანიის მენეჯმენტის განხორციელება ფინანსური დოკუმენტების, საბუღალტრო ანგარიშგების მომზადება. ბიზნეს/მეწარმეობის საქმიანობის წარმართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მოთხოვნათა, ეთიკური, სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით და ორგანიზაციული ქცევის პრინციპების დაცვით.

პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- (9) დამოუკიდებელად შეასრულოს სამუშაო მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად; აგოს პასუხი მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, შეაფასოს შედეგები და დასახოს გაუმჯობესების ღონისძიებები. დაგეგმოს და განხორციელოს ბიზნესის ადმინისტრირების / ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროსთან დაკავშირებული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტი (ბიზნეს-პროექტი/ბიზნეს-გეგმა/პროგრამა/სხვა) მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული მეთოდის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. დაინტერესებული მხარეების წინაშე წარადგინოს შესრულებული სამუშაო/პროექტი, დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე), მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში და არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლო სფეროა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან/და კერძო და სექტორში სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები (საჯარო ორგანიზაციები, საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები, უცხოურ-ქართული ერთობლივი საწარმოები). პროგრამის ფარგლებში შეძენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე, კურსდამთავრებულს შეუძლია: დაიკავოს სპეციალისტის ან/და სხვადასხვა რგოლის მენეჯერის პოზიცია; პრაქტიკულად განახორციელოს მენეჯმენტის, მარკეტინგის ან/და ფინანსების მიმართულებით ძირითადი პროფესიული ფუნქციები (საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური) როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კურსდამთავრებული ასევე შეძლებს ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და თავად გაუძღვეს სხვადასხვა ინდუსტრიაში მიკრო და მცირე ბიზნესს.

პროგრამის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმატიკა

<i>უმაღლესი განათლების საფეხური:</i>	ბაკალავრიატი
<i>სწავლების ენა:</i>	ქართული
<i>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</i>	აკადემიური / ძირითადი
<i>დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:</i>	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
<i>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</i>	ინფორმატიკის ბაკალავრი Bachelor of Informatics
<i>სწავლის ხანგრძლივობა:</i>	8 სემესტრი
<i>საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:</i>	240 კრედიტი
<i>პროგრამის ხელმძღვანელი:</i>	ბესიკი ტაბატაძე, აფილირებული ასოცირებული პროფესორი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის უნივერსიტეტში.

ბ) პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა.

გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

„ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ევროპი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პირები ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები.

პროგრამის სტრუქტურა

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან:

სავალდებულო კომპონენტები - 188 კრედიტი

- თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 34 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები- 134 კრედიტი
- პრაქტიკა - 5 კრედიტი
- საბაკალავრო ნაშრომი - 15 კრედიტი

არჩევითი კომპონენტი - 52 კრედიტი

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 23 კრედიტი
- პროგრამის თავისუფალი კრედიტები - 29 კრედიტი

თავისუფალი კრედიტების ათვისება ხდება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების გავლით, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობის დაცვით.

პროგრამის დასრულებისთვის სავალდებულოა პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის B2 დონის მიღწევა, ჩაბარება (პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონეზე სწავლებას) ან დოკუმენტურად დადასტურება. შესაძლებელია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა დადასტურდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდითაც. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის სწავლისგან თუ ის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან დოკუმენტურად დაადასტურებს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას. ამ შემთხვევაში პროგრამაში ინგლისური ენისთვის განკუთვნილი კრედიტები სტუდენტს შეუძლია აითვისოს თავისუფალი კრედიტების მსგავსად, უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების გავლით, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობის დაცვით. პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე და სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებს შესაბამისი დონიდან. სტუდენტი, რომელიც საჭიროებს ინგლისური ენის საწყისი დონიდან დაწყებას, აღნიშნულ დონეებს (A1 და A2 დონეს) სწავლობს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ათვისებით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას, ერთი სემესტრი 20 კვირას, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, დანარჩენი 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-17 და მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-19 და მე-20 კვირა დამატებითი დასკვნითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე. მე-8 კვირაში ტარდება შუალედური გამოცდები.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

პროგრამის მიზანი

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს გამოუშვას კურსდამთავრებული, რომელიც:

- ✓ აქვს კომპეტენცია ინფორმატიკის დარგში; აწარმოებს კვლევებს, აგებს, ავითარებს ან ახორციელებს ინფორმატიკის პროფილის პროექტებს სხვადასხვა სფეროში;
- ✓ თავისი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას აცნობიერებს ინფორმატიკის სფეროში არსებულ ეთიკურ და სოციალურ ასპექტებს;
- ✓ დამოუკიდებლად აგრძელებს ინფორმატიკის დარგის ახალი ტექნოლოგიების ათვისებას ან იღებს განათლებას სწავლების შემდგომ საფეხურზე.

სწავლის შედეგები

დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას:

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტმა იცის ინფორმატიკის თეორიული საფუძვლები და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება / განვითარებისთვის საჭირო ტექნოლოგიები.

სტუდენტი აცნობიერებს ინფორმატიკის და სხვა მონათესავე დისციპლინების ძირითადი კონცეფციების გამოყენების მნიშვნელობას პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესში.

უნარი

სტუდენტს შეუძლია კომპლექსური, გამოთვლებზე დაფუძნებული ამოცანების დაპროექტება და განხორციელება შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

სტუდენტს შეუძლია კომპლექსური, გამოთვლითი ამოცანის ანალიზი. ინფორმატიკისა და სათანადო საგნობრივი არეების პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასება დასმული ამოცანის გადაწყვეტის გზის განსაზღვრისთვის.

სტუდენტს შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე; შეუძლია პროგრამის დისციპლინების ფარგლებში ჯგუფში ეფექტური ჩართულობა.

სტუდენტს შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; დამოუკიდებლად შეუძლია საბაზისო ცოდნის მიღება იმ საგნობრივ არეში, რასაც ეძღვნება პროგრამული უზრუნველყოფა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სტუდენტს აქვს ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული პროფესიული პასუხისმგებლობა ინფორმატიკის დარგში.

დასაქმების სფერო

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ვებ სტუდიაში, ინტერნეტ კომპანიაში, სარეკლამო სააგენტოში, ნებისმიერ კომპანიაში, რომელშიც არსებობს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისთვის სპეციალიზებული განყოფილება. კურსდამთავრებულების კომპეტენციის დონე შეესაბამება ისეთ თანამდებობებს, როგორცაა: პროგრამისტი, დეველოპერი და ა.შ.

პროფესია პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, არის ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი დარგი, ასევე, იძლევა დისტანციურად დასაქმების საშუალებას როგორც ქვეყნის ფარგლებს შიგნით, ასევე, მის გარეთაც.

პროგრამის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ტურიზმის ადმინისტრირება

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული/სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური / ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
Bachelor of Business Administration in Tourism

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. მათა აზმაიფარაშვილი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში.

ბ) პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: **ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა), მათემატიკა/ისტორია.**

გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

„ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ევროპი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პირები ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის სტრუქტურა

ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტი, აქედან:

- თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე (სავალდებულო) - 59 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები - 138 კრედიტი, მათ შორის პრაქტიკა - 10 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტი, რომლის თავისუფლად არჩევაც შესაძლებელია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - 43 კრედიტი

შენიშვნა: თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სას-წავლო კურსების არჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებიდან წინაპირობის დაცვით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას. ერთი სემესტრი შედგება 20 კვირიგან, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, ხოლო 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-17 და მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-19 და მე-20 კვირა დამატებითი დასკვნითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. მე-8 კვირას ტარდება შუალედური გამოცდები.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამის შინაარსი, უმეტეს წილად, თანხვედრაშია საქართველოს თუ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი მიმართულების საბაკალავრო პროგრამებთან. პროგრამის მოქნილი სტრუქტურა სტუდენტებს საქართველოსა თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მობილობის ან/და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას აძლევს.

პროგრამის მიზანი

„ტურიზმის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის დანიშნულებაა უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში ხარისხის მქონე, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ტურიზმის დარგის თანამედროვე კონცეფციებისა და პრინციპების, ბიზნესის ფუნქციონალური სფეროებისა და მათი ურთიერთკავშირების შესახებ ფართო ცოდნით, ამასთან, ტურიზმის დარგში პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარებით, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობითა და ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის ბიზნეს და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში ჩაბმის მოტივაციით.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

1. მისცეს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების შესახებ, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; ტურიზმის ინდუსტრიის, ტურიზმის ბიზნესის, ტურისტული საწარმოს მენეჯმენტის, ტურიზმის მარკეტინგის შესახებ; მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ტურიზმის მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ; დაეუფლოს ტურიზმის ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკურ ინსტრუმენტებს;
2. გაუღრმავოს თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ტურისტული რესურსების ძირითადი მახასისებლების, ტურისტული ბაზრების და სეგმენტების თავისებურებების ანალიზის, მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის

შექმნის, ტურების დაგეგმვისა, მათი თვითღირებულების გამოთვლის და ფასის განსაზღვრის შესახებ; შეეძლოს ტურიზმის დარგში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან და ტენდენციებთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემთა ანალიზი და სათანადო დასკვნის ჩამოყალიბება;

3. განუმტკიცოს ზოგადი კომპეტენციები: ბიზნესის ადმინისტრირების სფეროების და ტურიზმის დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაცია, აზრის გამოხატვა, დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის/პროექტის წარდგენა, საქმიანი დოკუმენტების შედგენა ტურიზმის ტერმინოლოგიის გამოყენებით, სფეროს კომპლექსური საკითხების ჩამოყალიბება, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით, ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაოს შესრულების პროცესში;
4. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტით ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შექმნილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას; პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პატივი სცეს დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით.

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- (1) აღწერს ბიზნესის ძირითადი ფუნქციონალური სფეროების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და მათ ურთიერთკავშირს; ბიზნეს-გარემოს რეგულირების თეორიებს, კონცეფციების კომპლექსურ საკითხებს და ძირითად პრინციპებს; ტურისტული ბიზნეს-საქმიანობის თავისებურებებისა და ეფექტიანობის ამაღლების გზებს;
- (2) კრიტიკულად გაიაზრებს ტურიზმის ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს; ტურიზმის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მეთოდებს; ტურიზმის ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკურ გარემოს; ტურიზმის ეკონომიკის განვითარებაში მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების როლს; ხსნის მაკროეკონომიკური პრობლემების სახელმწიფოს მიერ გადაჭრის აუცილებლობის

საკითხებს; ორგანიზაციებში, ტურისტულ ფირმებში, ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების ძირითადი ასპექტებს; განიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის, ტურიზმის ბიზნესის, ტურიზმის მარკეტინგის საკითხებს;

- (3) განსაზღვრავს ტურისტული რესურსების ძირითად მახასიათებლებს და განვითარების პოტენციალს; აღწერს ტურისტული რესურსების ოპტიმალური მართვის თანამედროვე მეთოდებს; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიცირებას და შეფასებას; მასპინძლობის ინდუსტრიის მომსახურების სახეებს; ტურისტული საწარმოს (ფირმის) ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებებს;

უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- (4) ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების **ურთიერთდაკავშირება და პრაქტიკაში გამოყენება**; თეორიული კონცეფციების შემეცნების პროცესში მიკროეკონომიკური ანალიზის და მაკროეკონომიკური მოდელების გამოყენებით ეკონომიკის განვითარების მოკლევადიანი დაგრძელებადიანი პერსპექტივების განსაზღვრა;
- (5) მსოფლიო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების **ტენდენციების შეფასება და დაკავშირება**; ტურისტული საქმიანობის პერსპექტიული მიმართულებების ჩვენება; ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა, დემონსტრირება; მარკეტინგული მონაცემების შერჩევა, კლასიფიცირება და ანალიზი, ტურისტული ბაზრის გამოკვლევა (სეგმენტირება, მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრა, მოთხოვნის პროგნოზირება, მარკეტინგული კომპლექსის შემუშავება);
- (6) ბიზნესის ფუნქციონალური სფეროებისათვის მნიშვნელოვანი მონაცემების **შეგროვება და ანალიზი, განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება**; ტურიზმის სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და დასკვნის გამოტანა;
- (7) ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებისა და ტურიზმის დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაცია, პოზიციის განმარტება, დაცვა, თემატური ნაშრომის პრეზენტაცია, საქმიანი დოკუმენტების შედგენა ტურიზმის ტერმინოლოგიის გამოყენებით, კომპლექსური საკითხის ჩამოყალიბება, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაოს შესრულების პროცესში, პროექტების, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; ცოდნის არეალის გაფართოება პროფესიულ საქმიანობაში კარიერული წინსვლის საჭიროებების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- (8) კომპლექსურ არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. პროფესიული საქმიანობის განხორციელება დამკვიდრებული ეთიკური ნორმების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და

განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.

დასაქმების სფერო

„ტურიზმის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს- „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრსტურიზმში“ შეეძლება კვალიფიციური საქმიანობა ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ტურისტულ საწარმოში ან ორგანიზაციაში მცირე და საშუალო ზომის სტრუქტურული ქვედანაყოფების ადმინისტრაციულ პოზიციაზე- ტურისტული კომპანიის-ტუროპერატორის, ტურისტული სააგენტოს, სასტუმროს ინდუსტრიის, მარკეტინგისა და გაყიდვების, ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ რგოლებში.

პროგრამის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ფინანსები და საბანკო საქმე**

<i>უმალესი განათლების საფეხური:</i>	ბაკალავრიატი
<i>სწავლების ენა:</i>	ქართული
<i>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</i>	აკადემიური / ძირითადი
<i>დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:</i>	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
<i>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</i>	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში Bachelor of Business Administration in Finance
<i>სწავლის ხანგრძლივობა:</i>	8 სემესტრი
<i>საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:</i>	240 კრედიტი
<i>პროგრამის ხელმძღვანელი:</i>	დოქტ. ლანა სულაკაძე

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის უნივერსიტეტში.
- ბ) პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: **ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა), მათემატიკა/ისტორია.**
- გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

„ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პირები ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის სტრუქტურა

ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

სავალდებულო კომპონენტი

189 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები,
რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების
განვითარებაზე

35 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები
154 კრედიტი

მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები 25 კრედიტი
- პრაქტიკა 5 კრედიტი
- საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტი

არჩევითი კომპონენტი 51 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტი, რომლის თავისუფლად არჩევაც შესაძლებელია
ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

51 კრედიტი

შენიშვნა: თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებიდან წინაპირობის დაცვით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას. ერთი სემესტრი შედგება 20 კვირისგან, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, ხოლო 5 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-17 და მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, მე-19 და მე-20 კვირა დამატებითი დასკვნითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე. მე-8 კვირას ტარდება შუალედური გამოცდები.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

პროგრამის მიზანი

„ფინანსებისა და საბანკო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლად ასახული შპს ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები.

„ფინანსებისა და საბანკო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის დანიშნულებაა - უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში“-ის ხარისხის მქონე, **ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელნიც შეძლებენ ფინანსებისა და საბანკო საქმესთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას.**

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- (1) მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ბიზნესის ძირითად ფუნქციურ მიმართულებებში (ეკონომიკა, ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი), დააუფლოს ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკურ ინსტრუმენტებს.
- (2) გაუღრმავოს თეორიული ცოდნა და განუმტკიცოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები **ბიზნესის ადმინისტრირების კონკრეტულ ფუნქციურ მიმართულებაში** (ფინანსები); განუვითაროს მენეჯერულ პოზიციაზე წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოამზადოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში მმართველობის სხვადასხვა რგოლში დასაქმებისა და შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის.
- (3) განუმტკიცოს **ზოგადი კომპეტენციები**, როგორცაა: ანალიზის, სინთეზის, პრობლემის გადაწყვეტის, კომუნიკაციის, მოხსენების მომზადება-წარდგენის, კრიტიკული აზროვნების, ჯგუფში მუშაობის, სამუშაოს დაგეგმვა-ორგანიზების და დროის მართვის, პასუხისმგებლობის და ორგანიზაციაში ქცევის უნარ-ჩვევები.
- (4) საგანმანათლებლო პროგრამის **პრაქტიკული კომპონენტით** (საქმიანი/როლური თამაშები, ბიზნეს-სიმულაციები, სასწავლო პროექტები, საბაკალავრო ნაშრომი, პროფესიული პრაქტიკა ორგანიზაციაში) ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებასა და საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევათა განმტკიცებას.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

ფინანსებისა და საბანკო საქმის ფართო და საფუძვლიანი ცოდნა, რომლის საფუძველზეც:

1. განმარტავს ბიზნეს-გარემოს, ფინანსებისა და საბანკო სფეროს რეგულირების თეორიებს, კონცეფციებსა და ძირითად პრინციპებს, ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების სფეროსთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას;
2. აცნობიერებს ფინანსებსა და საბანკო სექტორში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელ: ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ეკონომიკის, სტატისტიკის, ალბათობის თეორიის, საბანკო და საგადასახადო საქმის, საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობების, ბიზნესისა და საფინანსო სამართლის საფუძვლების, ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის, აუდიტის საფუძვლების, კორპორაციათა ფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის, მმართველობითი აღრიცხვის ძირითად პრინციპებსა და თავისებურებებს;
3. განიხილავს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და კორპორაციათა ფინანსების ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებებს; დაკრედიტების მექანიზმებსა და თანამედროვე საბანკო მომსახურების სახეებს; ორგანიზაციის ფუნქციონირებაში ფინანსური საქმიანობის როლს, ადგილს, მნიშვნელობას;
4. კომპლექსურად აღწერს საჯარო ფინანსებისა და ფინანსური ბაზრების არსსა და მნიშვნელობას; ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებებს;
5. აცნობიერებს ფინანსური რესურსების ოპტიმალური მართვის თანამედროვე მეთოდებს; საბანკო საქმის სპეციფიკას, საკრედიტო მომსახურების ფორმებს და ფულის მიმოქცევის თანამედროვე ტექნოლოგიებს; ეკონომიკის განვითარებაში მოხმარების, დანაზოგების და ინვესტიციების როლს;
6. აცნობიერებს საფინანსო სექტორში ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების მნიშვნელობას, ორგანიზაციის ფინანსური მახასიათებლებისა და მაჩვენებლების, კომპანიის ფინანსური საქმიანობის ოპტიმიზაციის მეთოდებს, კორპორაციის ფინანსების მართვისა და საინვესტიციო პროექტებისათვის დამახასიათებელი რისკების თავისებურებებს.

უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

7. დაადგინოს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების საფუძვლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს შორის კავშირი; ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის რეგულირების, დაგეგმვის, ორგანიზების და კონტროლის მექანიზმების, ბიზნეს-საქმიანობის ანალიზის და შეფასების მიზნით სხვადასხვა მეთოდი შეარჩიოს და გამოიყენოს;
8. გაანალიზოს ფინანსური მაჩვენებლების გამოყენებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასთან და საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხები; მოახდინოს ფინანსური და საბუღალტრო ინფორმაციის თავმოყრა, სისტემატიზაცია, მრავალმხრივი ანალიზი, საქმიანობის წარმართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.

პასუხიშემგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეუძლია:

9. დამოუკიდებლად შეასრულოს სამუშაო მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად; პასუხი აგოს მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, შეაფასოს შედეგები და დასახოს გაუმჯობესების ღონისძიებები. დაგეგმოს და განახორციელოს ფინანსებისა და საბანკო საქმის სფეროსთან დაკავშირებული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტი (ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი, საინვესტიციო პროექტების ანალიზი და სხვა). ჩამოაყალიბოს თანამედროვე ფინანსებისა და საბანკო საქმის პრობლემატიკასთან დაკავშირებით საკუთარი მიდგომები და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებით მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში და არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია.

დასაქმების სფერო

„ფინანსებისა და საბანკო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს ფინანსებში საშუალება ექნება დასაქმდეს საჯარო და კერძო სექტორში; იმუშაოს ნებისმიერ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და დასაქმდეს არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნეს-სტრუქტურებში, მათ შორის სახელმწიფო-საფინანსო ორგანოებში, საბანკო სექტორში და სადაზღვევო კომპანიებში, დაწესებულების საფინანსო განყოფილებებსა და ბუღალტერიაში, ადმინისტრაციასა და ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში.

პროგრამის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) მაღიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მენეჯმენტი

<i>უმაღლესი განათლების საფეხური:</i>	მაგისტრატურა
<i>სწავლების ენა:</i>	ქართული
<i>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:</i>	აკადემიური
<i>დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:</i>	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
<i>მისანიჭებელი კვალიფიკაცია:</i>	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში <i>Master of Business Administration in Management</i>
<i>სწავლის ხანგრძლივობა:</i>	4 სემესტრი
<i>პროგრამის მოცულობა:</i>	120 კრედიტი
<i>პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:</i>	დოქტ. ეკატერინე ნაცვლიშვილი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების/საერთაშორისო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ევროპის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: **შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები** სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე (იხ. „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი“).

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.eu.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით.

(ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისობის დადგენისას სახელმძღვანელო ინფორმაცია ცხრილის სახითაა მოცემული).

ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International
	TOEIC – 600
	TOEFL – 510 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet - based)

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩარიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე).

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

*მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

პროგრამის სტრუქტურა

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციებისა და მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგისტრის მომზადება მიმდინარეობს სასწავლო და

კვლევითი კომპონენტის მეშვეობით. მენეჯმენტის მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, აქედან:

- **სასწავლი კომპონენტს** - 100 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:
 - ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 75 ECTS მოცულობით
 - ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის არჩევით სასწავლო კურსებს - 25 ECTS მოცულობით
 - ↳ მათ შორის, პროფესიულ პრაქტიკას - 5 ECTS მოცულობით
- **კვლევით კომპონენტს** - სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS მოცულობით

პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში მოიაზრება სპეციალობის გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, მათი არჩევა სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის არჩევით კომპონენტში შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან (65 კრედიტის მოცულობით), საიდანაც მაგისტრანტს შეუძლია, საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე. ამოირჩიოს მისთვის სასურველი კურსები - ჯამში 25 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის ზემოაღნიშნული სტრუქტურა - ძირითადი (სავალდებულო) და არჩევითი კომპონენტების კომბინირებით - მაგისტრანტს ინდივიდუალური პროფილის ფორმირების შესაძლებლობას აძლევს. სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და განვითარება განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. დანართი N 5).

პროგრამის მიზანი

მენეჯმენტის მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლად და ასახული ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მასში ასევე გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების წარმატებული გამოცდილება. აღნიშნულის საფუძველზე, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციებით აღჭურვოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე, კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელნიც შეძლებენ

ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში მმართველობის სხვადასხვა რგოლში დასაქმებას, მათზე დელეგირებული მენეჯერული ფუნქციების ეფექტურად და ეფექტიანად შესრულებას, ასევე ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიურ მონაწილეობასა და საკუთარი წვლილის შეტანას ინოვაციურ სამეწარმეო საქმიანობასა თუ ბიზნესის წარმატებულ ადმინისტრირებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- (1) შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის სფეროს უახლეს მიღწევებზე, თანამედროვე ბიზნეს-ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოსა და ორგანიზაციული პროცესების მართვასთან, ციფრული ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე
- (2) განუმტკიცოს ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ორგანიზაციის/ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შეფასების, მენეჯმენტის დარგისათვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების პრაქტიკული თუ მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი გადაწყვეტის უნარ-ჩვევები; აგრეთვე, კერძო/საჯარო ორგანიზაციებში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებისა და საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებისთვის, ან დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელ პრაქტიკული ჩვევები
- (3) შეუწყოს ხელი მენეჯმენტის სფეროში მიღებული განათლების საფუძველზე ბიზნესის ცვალებად, კომპლექსურ გარემოსთან სწრაფად ადაპტირებაში; სოციალურ პასუხისმგებლობასა თუ ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ბიზნეს-საქმიანობის მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში;

სწავლის შედეგები

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონის (უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსების წარმატებით დასრულება ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდეს / განუმტკიცდეს დარგობრივი კომპეტენციები (აგრეთვე ზოგადი უნარები, რომლებიც გამჭოლად არის ასახული ცალკეული კურსების სილაბუსებში). კერძოდ, მემეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

პროგრამის სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების აღწერილობა
<i>ცოდნა და გაცნობიერება:</i>	<i>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს მენეჯმენტის სფეროს სიღრმისეული და სისტემური</i>

	<i>ცოდნა, რომლის საფუძველზეც:</i>
1	სიღრმისეულად აღწერს მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს, უახლეს მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს; ინოვაციური მიღწევებისა და მეცნიერული კვლევის უახლეს შედეგებს
2	ორგანიზაციული მენეჯმენტისა და ბიზნესის მართვის სფეროში მიღებულ თეორიულ ცოდნას აკავშირებს ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ორიგინალური/ინოვაციური იდეების გენერირებასა და უახლესი მეთოდებით კვლევასთან
<i>უნარი</i>	<i>სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარების საფუძველზე კურსდამთავრებული:</i>
3	კომპლექსურად აანალიზებს ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციული მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე ტენდენციებს, გლობალიზაციისა და ციფრული განვითარების ეპოქაში თანამედროვე ორგანიზაციების წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებს; მაკრო/მიკრო ფაქტორების ზემოქმედებას ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე/ბიზნეს-საქმიანობაზე, ორგანიზაციული პროცესების მართვასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს
4	რელევანტურად იყენებს თანამედროვე კონცეფციებს, მიდგომებს, მოდელებს, კვლევის სტანდარტულ / ინოვაციურ მეთოდებს ბიზნეს / ორგანიზაციული პროცესების კვლევის, პროგნოზირების, რისკ-ფაქტორების გამოვლენა-შეფასების, არსებული კომპლექსური თუ კონკრეტული პრობლემების ილუსტრირების და გადაწყვეტის ახალი/ინოვაციური გზების მოძიებისთვის
5	კომპლექსურად იკვლევს ორგანიზაციის ფუნქციურ სფეროებში (ოპერაციები, პროექტები, ფინანსები და აღრიცხვა, ადამიანური რესურსი, ინოვაციები და ცვლილებები, სტრატეგიული მართვა, მარკეტინგი) წამოჭრილი პრობლემებს და უწყვეტი განვითარების, რისკების, დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით აფასებს ბიზნეს-პროცესებს, ორგანიზაციულ პროექტებს/სამოქმედო გეგმებს, ორგანიზაციული რესურსების ეფექტური/ეფექტიანი მართვის პირობებს, ორგანიზაციული განვითარების შესაძლებლობებს
6	ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობისა და ორგანიზაციის შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავებს ბიზნეს მოდელებს, სტრატეგიებს, პროექტებს კონკრეტული ბიზნეს-სიტუაციისათვის, აგრეთვე ფუნქციონალურ სტრატეგიებს ბიზნესის ცალკეული ფუნქციური სფეროსთვის (პროექტები, ბიზნეს-ოპერაციები, ფინანსები, რისკები, მარკეტინგი, ადამიანური რესურსები); და სახავს სტრატეგიის განხორციელება-შეფასების, ორგანიზაციული პროცესების მართვის ღონისძიებებს

7	<p>დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას თანამედროვე სტანდარტების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, სტანდარტული/ინოვაციური მიდგომებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებით; საკუთარი კვლევის შედეგებს, მეცნიერულად არგუმენტირებული ორიგინალური დასკვნების / რეკომენდაციების სახით, წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით წარადგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან</p>
<p><i>ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა</i></p>	<p><i>სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების საფუძველზე კურსდამთავრებული:</i></p>
8	<p>აფასებს მენეჯერული/სამეწარმეო საქმიანობის, ინოვაციური და/ან სამეცნიერო კვლევების ეთიკურ და სოციალურ შედეგებს; ბიზნესისა თუ ორგანიზაციული მენეჯმენტის სფეროში აღიარებული პრინციპების, დამკვიდრებული ნორმებისა და ღირებულებებისადმი საკუთარ თუ სხვების დამოკიდებულებას</p>
9	<p>ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებისას მოქმედებს ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში, კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრინციპების, საერთაშორისო სააღრიცხვო და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დაცვით</p>

დასაქმების სფერო

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის შეუძლია დასაქმდეს ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციულ ორგანიზაციაში, არაკომერციულ ორგანიზაციაში: საწარმოებში, სამეწარმეო და კონსალტინგურ კომპანიებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსეროვნულ კორპორაციებში/მათ ფილიალებში,; სახელმწიფო სტრუქტურებში - ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დაიკავოს საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერის პოზიცია და განახორციელოს საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევითი, საექსპერტო-საკონსულტაციო საქმიანობა; ან/და განახორციელოს დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობა.

პროგრამის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) მაღიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.